შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

პროფესიული უნარების ტესტი უფროსი სპეციალური მასწავლებლებისთვის

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 40 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 54.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 1

მოსწავლეთა პროგრესის მუდმივი შეფასება მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, გამოავლინოს მათი საჭიროებები და „მხარდაჭერის მრავალდონიან სისტემაში“ კონკრეტული დონის შესაბამისი ინტერვენციები გამოიყენოს.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა/აქტივობები შეესაბამება მხარდაჭერის მრავალდონიანი სისტემის მესამე დონეს - „ინტენსიური მხარდაჭერა განგრძობითი სირთულეების შემთხვევაში“?

I. მასწავლებელი იყენებს ეროვნული სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებულ პროგრამას შესაბამისი მასალებითა და დიფერენცირებული ინსტრუქციებით.

II. მასწავლებელი იყენებს უნივერსალურ სტრატეგიებს და დამატებითი მხარდაჭერით ეხმარება მოსწავლეებს პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენაში.

III. მასწავლებელი სიღრმისეულად აფასებს მოსწავლეს, ქმნის შესაბამის პროგრამებს, საჭიროების შემთხვევაში რთავს დამატებით მხარდამჭერ პერსონალს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 2

ქართულის მასწავლებელი გაკვეთილს ატარებს შემდეგი ფორმატით: დასაწყისში ის საშინაო დავალებას ამოწმებს კითხვა-პასუხით. შემდეგ ხსნის ახალ მასალას და გამოიკითხავს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა. ბოლოს თავად აჯამებს ინფორმაციას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის კი მასწავლებელი ამარტივებს ყველა ამ აქტივობას, ჩართავს მას ახსნისა და გამოკითხვის პროცესში, ამასთან, აქებს შესრულებული დავალებისთვის. მასწავლებელს მიაჩნია, რომ გაკვეთილი სწავლების უნივერსალური დიზაინით სწორედ ასე უნდა ტარდებოდეს.

თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით მასწავლებლის მოსაზრება:

ა) **მართებულია,** რადგან მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს უმარტივებს კლასში გამოყენებულ ყველა აქტივობას. ამით ის სრულყოფილად ჩართავს მას საერთო-საკლასო აქტივობებში, რაც სწავლების უნივერსალური დიზაინის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

**დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.*

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ბ) **არ არის მართებული,** რადგან მასწავლებელი არ იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს ახალი ინფორმაციის გადაცემის, გამოკითხვისა და მოსწავლეების მოტივირებისათვის. მხოლოდ სსსმ მოსწავლეზე აქტივობების მორგებით სწავლების უნივერსალური დიზაინი ვერ მიიღწევა.

გ) **მართებულია,** რადგან მასწავლებელი არა მარტო ხსნის ახალ მასალას, არამედ გამოიკითხავს და ამოწმებს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა ახალი საკითხი. ამ გზით ის ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომს ხდის ახალ ინფორმაციას, რაც სწავლების უნივერსალური დიზაინის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

დ) **არ არის მართებული,** რადგან მასწავლებელი მხოლოდ აქებს სსსმ მოსწავლეს და არ ზრუნავს მრავალფეროვანი სტრატეგიებით მის მოტივირებაზე. სწავლების უნივერსალური დიზაინი მასწავლებელს ავალდებულებს, სხვადასხვა ხერხის გამოყენებით იზრუნოს სსსმ მოსწავლის დაინტერესებაზე.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 3



სპეციალური მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს აძლევს ასეთ ინსტრუქციას: „ყურადღებით დააკვირდი სურათს. ნახე, პირველ ხაზზე ხატია თევზი და წყალი. შენი აზრით, მეორე ხაზზე მოცემული სურათებიდან რომელი უნდა ეხატოს მელიის გვერდით? ამიხსენი შენი პასუხი“.

აღწერილი აქტივობით სპეციალური მასწავლებელი აფასებს:

ა) შეუძლია თუ არა მოსწავლეს წყლისა და ხმელეთის ბინადრების გარჩევა.

ბ) შეუძლია თუ არა მოსწავლეს ანალოგიური მიმართებების წვდომა.

გ) შეუძლია თუ არა მოსწავლეს ობიექტების ერთმანეთისგან გარჩევა.

დ) შეუძლია თუ არა მოსწავლეს საბინადრო გარემოს ამოცნობა.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 4

სსსმ მოსწავლე ავლენს იმპულსურობას. მას უჭირს ერთ ადგილზე გაჩერება და არ შეუძლია, დაელოდოს თავის რიგს. როდესაც მასწავლებელი სხვა მოსწავლეს უსვამს კითხვას, სსსმ მოსწავლე პასუხს წამოიძახებს ხოლმე და ამით ხელს უშლის თანაკლასელებს. მასწავლებელმა მიზნად დაისახა, მოსწავლესთან იმუშაოს იმპულსის კონტროლის უნარის განვითარებაზე და ასწავლოს რიგის დაცვა.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობის გამოყენებით მიაღწევს მასწავლებელი **ყველაზე უკეთ** დასახულ მიზანს?

ა) მასწავლებელი მოსწავლეს მიუთითებს თანაკლასელებზე, რომლებიც ყოველთვის იცავენ თავიანთ რიგს და სთხოვს, რომ მიბაძოს მათ.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეს წინასწარ ეუბნება, რომ შეკითხვას დაუსვამს ორი მოსწავლის გამოკითხვის შემდეგ და მოთმინებისთვის აქებს მას.

გ) მასწავლებელი წამოძახილისთვის აწესებს ჯარიმას: თუ მოსწავლე პასუხის გაცემის დროს რიგს არ დაიცავს, მოუწევს გაკვეთილების შემდეგ კლასის დალაგება.

დ) მასწავლებელი პასუხის წამოძახების დროს მოსწავლეს შეახსენებს, რომ უნდა დაელოდოს თავის რიგს და უხსნის, რომ მისი ქცევა ხელს უშლის თანაკლასელებს.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 5

სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის გეგმის შემუშავებისას, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე შეაფასონ შესაბამისმა სპეციალისტებმა.

როგორი შემადგენლობით უნდა იყოს წარმოდგენილი გუნდი, რომელიც შეაფასებს მოსწავლეს პირველადი გეგმის შემუშავების მიზნით?

ა) მასწავლებლები, დამრიგებელი, მშობელი და სპეციალური მასწავლებელი.

ბ) დამრიგებელი, ადმინისტრაცია, საგნის მასწავლებლები და ნეიროფსიქოლოგი.

გ) საგნის მასწავლებლები, სკოლის ფსიქოლოგი და მოსწავლის პირადი ასისტენტი.

დ) სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრები და სპეციალური მასწავლებელი.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 6

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს სპეციალურმა მასწავლებელმა ხანმოკლე ვიზუალური მეხსიერების შეფასების მიზნით სხვადასხვა აქტივობა შესთავაზა.

ჩამოთვლილთაგან რომელ უნარზე დაკვირვებით შეძლებს მასწავლებელი ხანმოკლე ვიზუალური მეხსიერების შეფასებას?

ა) მოსწავლეს შეუძლია, დაიმახსოვროს და შემდეგ ჩამოთვალოს სურათზე გამოსახული ობიექტები.

ბ) მოსწავლეს შეუძლია, ბარათებზე ამოიცნოს და დაასახელოს ის ნივთები, რომლებიც მის ოთახშია.

გ) მოსწავლეს შეუძლია, დაიმახსოვროს დასახელებული სიტყვა და ბარათზე ამოიცნოს შესაბამისი გამოსახულება.

დ) მოსწავლეს შეუძლია, წარმოდგენილ ილუსტრაციებში ამოიცნოს მოსმენილი ზღაპრის შესაბამისი გამოსახულება.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 7

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს გაკვეთილზე თან ახლავს ინდივიდუალური ასისტენტი. იგი საგნის მასწავლებლის დავალებით სსსმ მოსწავლისთვის გეგმავს საგაკვეთილო პროცესსა და აქტივობებს.

ასისტენტის ქმედება:

ა) **მართებულია,** რადგან ასისტენტი სწავლის პროცესში სსსმ მოსწავლესთან ყველაზე მეტ დროს ატარებს, კარგად იცნობს მას, ამიტომ მოსწავლის უნარების შესაბამის აქტივობებს ის უკეთ დაგეგმავს.

ბ) **არ არის მართებული,** რადგან ასისტენტს არ ევალება სსსმ მოსწავლისთვის საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა და გაკვეთილზე შესასრულებელი აქტივობების შემუშავება. ეს შედის საგნის მასწავლებლის ფუნქციებში.

გ) **მართებულია,** რადგან ასისტენტს აქტივობების შესრულების დროს ისედაც უწევს მოსწავლის ქცევაზე სპონტანური რეაგირება და ბავშვის ინტერესების შესაბამისად საგაკვეთილო პროცესში ცვლილებების შეტანა.

დ) **არ არის მართებული,** რადგან ასისტენტი არის სწავლების პროცესში მასწავლებლის დამხმარე, სსსმ მოსწავლისთვის სხვადასხვა აქტივობის მოფიქრებას კი განსხვავებული კომპეტენცია სჭირდება, რომელიც მას არ აქვს.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 8

სსსმ მოსწავლე მასწავლებლის კითხვებს არ პასუხობს, თანაკლასელებთან არ ურთიერთობს. სკოლის სპეციალურმა მასწავლებელმაც ვერ დაამყარა მასთან კომუნიკაცია, თუმცა მშობელი ამბობს, რომ ბავშვი სახლში ოჯახის წევრებს ელაპარაკება, მღერის და ამბობს ლექსებს. მას ამის დამადასტურებელი ვიდეოჩანაწერებიც აქვს. მასწავლებელი ვარაუდობს, რომ მოსწავლეს აუტიზმის სპექტრის აშლილობა აქვს და მშობელს სთხოვს, რომ ბავშვი აჩვენოს სპეციალისტს.

მოსწავლის მდგომარეობასთან დაკავშირებით მასწავლებლის მიერ გამოთქმული ვარაუდი:

ა) **მართებულია,** რადგან თუ მოსწავლე თანაკლასელებთან ურთიერთობასა და მათთან თამაშს მარტო ყოფნას ამჯობინებს, ეს აუტიზმის სპექტრის აშლილობაზე მიუთითებს.

ბ) **არ არის მართებული,** რადგან აუტიზმის სპექტრის აშლილობის შემთხვევაში კომუნიკაციის სირთულე არა მხოლოდ რომელიმე ერთ, არამედ ყველა გარემოში უნდა ვლინდებოდეს.

**დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.*

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

გ) **მართებულია,** რადგან თუ მოსწავლე არ ურთიერთობს არც მასწავლებლებთან და არც თანაკლასელებთან, ეს უკვე მიუთითებს კომუნიკაციის პრობლემაზე სხვადასხვა გარემოში.

დ) **არ არის მართებული,** რადგან მასწავლებელი უნდა ენდოს მშობელს, ვინაიდან ის უკეთ იცნობს თავისი შვილის მდგომარეობასა და საჭიროებებს.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 9

სსსმ მოსწავლეს აღენიშნება ქცევისა და ემოციური რეგულაციის სირთულე. ის ადვილად ბრაზდება, გაკვეთილზე თანაკლასელების მიმართ ავლენს ფიზიკურ აგრესიას და ხშირად აზიანებს მათ.

ჩამოთვლილთაგან სპეციალური მასწავლებლის რომელი ქმედება/ქმედებები დაეხმარება სკოლას **ყველაზე მეტად** აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში?

I. სპეციალური მასწავლებელი ყურადღებით უნდა იყოს და როდესაც სსსმ მოსწავლე დაიწყებს სხვათა დამაზიანებელი ქცევის გამოვლენას, მყისიერად შევიდეს კლასში, გამოიყვანოს ის გაკვეთილიდან და დაეხმაროს დამშვიდებაში.

II. სპეციალურმა მასწავლებელმა უნდა ითავოს პროცესის კოორდინირება, ადმინისტრაციასთან და დამრიგებელთან ერთად გაესაუბროს სსსმ მოსწავლის მშობელს და დააყენოს მათთან მოსწავლის კრიზისული ქცევის მართვის საკითხი.

III. სპეციალური მასწავლებელი დამრიგებელთან და ადმინისტრაციასთან ერთად უნდა შეხვდეს მოსწავლეთა მშობლებს და აუხსნას, როგორ გეგმავს სკოლა, სსსმ მოსწავლის ქცევის მართვის პარალელურად, მათი შვილების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 10

ჩამოთვლილთაგან რომელია სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს ადეკვატური განმარტება/განმარტებები?

I. სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო არის პედაგოგიური რეფლექსიის ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც სპეციალური მასწავლებელი აანალიზებს საკუთარ მიღწევებს.

II. სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო არის საგნის მასწავლებლებისთვის სპეციალური მასწავლებლის მიერ შექმნილი დამხმარე სასწავლო მასალების შემცველი დოკუმენტი.

III. სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო არის იმ დოკუმენტების კრებული, რომელთა საფუძველზეც სსსმ მოსწავლის მშობელი მონიტორინგს უწევს სკოლაში ინკლუზიური განათლების პროცესს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 11

მასწავლებელმა მოსწავლეს დაუხატა „წ“ და „შ“ ასო-ბგერები, რომლებიც საუკეთესო მეგობრები არიან და მუდამ ერთმანეთს უყურებენ.

ყველაზე მეტად რომელი უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს აღნიშნული აქტივობა?

ა) სიტყვის დეკოდირების უნარის

ბ) ფონოლოგიური/სამეტყველო უნარის

გ) ვიზუალურ-სივრცითი აღქმის უნარის

დ) ენის პრაგმატულად გამოყენების უნარის

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 12

სსსმ მოსწავლის დამატებითი მხარდაჭერის, ფუნქციონირების გაზრდისა და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობისთვის სპეციალური მასწავლებელი ქმნის ინტერვენციის გეგმას, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მუშაობა. იმისათვის, რომ ინტერვენციის გეგმა მაქსიმალურად უწყობდეს ხელს მოსწავლის აკადემიური მიღწევის გაუმჯობესებას, ის უნდა იკვეთებოდეს სსსმ მოსწავლისთვის სხვადასხვა საგანში დასახულ მიზნებთან.

მოცემული მოსაზრება:

ა) **მართებულია.** ინტერვენციის გეგმა უნდა უკავშირდებოდეს მოსწავლისთვის დასახულ მიზნებს სხვადასხვა საგანში, რათა ინტერვენცია არ იყოს იზოლირებული სასწავლო პროცესისგან და არ დააბრკოლოს თანმიმდევრული შეთანხმებული მუშაობა მოსწავლესთან.

ბ) **არ არის მართებული.** ინტერვენციის გეგმის მთავარი ამოცანა მოსწავლის ბაზისურ აკადემიურ უნარებზე მუშაობაა, ხოლო სხვადასხვა საგანში მოსწავლის მიღწევის გაუმჯობესებაზე ზრუნვა საგნის მასწავლებლების მოვალეობაა.

**დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.*

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

გ) **მართებულია.** ინტერვენციის გეგმა მოიაზრებს პრობლემური ქცევის მართვის გეგმასაც და თუ მუშაობა წარიმართება მოსწავლის ქცევითი სირთულეების აღმოფხვრისკენ, ეს ხელს შეუწყობს საგაკვეთილო პროცესში მის უკეთ ჩართვას.

დ) **არ არის მართებული.** სპეციალური მასწავლებელი ვერ შეძლებს სსსმ მოსწავლისთვის სხვადასხვა საგანში დასახული მიზნები შეუსაბამოს ინტერვენციის გეგმას, რადგან ეს არ შედის მის უფლება-მოვალეობებში.

დავალება N 13

სპეციალური მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს ინსტრუქციას, სიუჟეტური სურათები დაალაგოს სწორი თანმიმდევრობით.

პირველ რიგში მოსწავლის რომელი უნარის შესაფასებლად შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა მოცემული აქტივობა?

ა) შეუძლია თუ არა მოსწავლეს სურათზე მოცემული ობიექტების/საგნების არსებითი ნიშნების წვდომა.

ბ) შეუძლია თუ არა მოსწავლეს სურათების მიხედვით ამბის აგება და შინაარსის თანმიმდევრულად გადმოცემა.

გ) შეუძლია თუ არა მოსწავლეს მოვლენების ლოგიკური დინამიკის/პროცესის გააზრება - რა იყო ჯერ და რა - შემდეგ.

დ) შეუძლია თუ არა მოსწავლეს თითოეულ სურათში გადმოცემული სიუჟეტის კონტექსტის გააზრება და სიტუაციის ამოცნობა.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 14

ადრეული განათლების ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლის ჩართულობას იმისათვის, რომ მან შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაციის/რეკომენდაციების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი მოსწავლის სმენით დარღვევასთან დაკავშირებული საჭიროებების არსებობის შემთხვევაში?

I. შექმენით მოსმენისათვის კარგი, წყნარი გარემო, სადაც ფონური ხმაური მინიმალურია და ეს სივრცე კარგად არის განათებული.
II. მუდმივად იმოძრავეთ და მიაქციეთ ყურადღება, რომ ბავშვი თვალს გადევნებდეთ მაშინაც, როცა სხვა ბავშვებთან საუბრობთ.
III. წინასწარ შეაფასეთ, რა გავლენა შეიძლება იქონიოს ოთახის აკუსტიკამ სმენითი საჭიროების მქონე მოსწავლის აღქმაზე.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 15

ჩამოთვლილთაგან ***ყველაზე ნაკლებად*** რომელი პრობლემაა დაკავშირებული ენის ათვისებასთან?

ა) სემანტიკური მეხსიერების პრობლემა

ბ) ლოგიკურ-ასოციაციური მეხსიერების პრობლემა

გ) სმენითი ინფორმაციის სწრაფად გადამუშავების პრობლემა

დ) სმენითი სტიმულების თანმიმდევრული აღქმის პრობლემა

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს, ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 16

სპეციალურმა მასწავლებელმა მიზნად დაისახა, რომ სსსმ მოსწავლეს ხელი შეუწყოს სპონტანურ მეტყველებასა და ინიციატივის გამოვლენაში. ამ უნარების გამომუშავებისათვის ის იყენებს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებას - შემთხვევითი სწავლების მეთოდს, რომელსაც რამდენიმე ეტაპი აქვს.

A სვეტში მოცემულია აქტივობები, B სვეტში - შემთხვევითი სწავლების ეტაპები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

აქტივობა (A)	**შემთხვევითი სწავლების ეტაპი (B)**
I. მასწავლებელი იწყებს თამაშს მოსწავლის საყვარელი ნივთით, მოსწავლეს რთავს ამ თამაშში, შემდეგ კი პროცესში მალავს ერთ-ერთ დეტალს.	ა) ინტერესის გამოჩენის მოლოდინი
II. როდესაც მასწავლებელი წარმოთქვამს რაიმე სიტყვას ან გაიხედავს განმამტკიცებლისკენ, იგი ყოველთვის აკვირდება სსსმ მოსწავლის ქცევას, მაგრამ არ ეხმარება და არ იყენებს ვერბალურ ინსტრუქციებს.	ბ) მამოტივირებელი სტიმულის კონტროლი
III. მასწავლებელი მოსწავლისთვის სასურველ ნივთს ათავსებს მისი მხედველობის არეში ისე, რომ იგი ხედავდეს, მაგრამ ვერ სწვდებოდეს მას.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20

21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 17

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლის უნარების განვითარებაში მონაწილეობს სხვადასხვა სპეციალისტი.

A სვეტში მოცემულია სპეციალისტის ფუნქციები, ხოლო B სვეტში სპეციალისტები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

სპეციალისტის ფუნქციები (A)	**სპეციალისტი (B)**
I. აფასებს მოსწავლის წერის, კითხვისა და ანგარიშის უნარებს, ეხმარება მათ განვითარებაში.	ა) ოკუპაციური თერაპევტი ბ) სპეციალური მასწავლებელი
II. აფასებს მოსწავლის ქცევას და დამოუკიდებლობის ხარისხს დასწავლის პროცესში, უზრუნველყოფს პროგრესის მონიტორინგს.	
III. ეხმარება მოსწავლეს პოზის კონტროლსა და ფუნქციური უნარების განვითარებაში.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 18

სპეციალურმა მასწავლებელმა სსსმ მოსწავლის სხვადასხვა უნარის შეფასებისას უნდა შეარჩიოს რელევანტური აქტივობები. A სვეტში მოცემულია აქტივობები, B სვეტში - უნარები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

აქტივობა (A)	**უნარი (B)**
I. მასწავლებელი მოსწავლეს უჩვენებს ბარათებს, რომლებზეც სხვადასხვა საგანია გამოსახული. სთხოვს, დაასახელოს საგანი და თქვას, რა ბგერაზე იწყება ის. 	

**დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.*

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

II. მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს ცხრილს, რომელშიც მოცემულია ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ მსგავსი ფორმის ასოები და სთხოვს, ისინი სხვადასხვა ფერით მონიშნოს. 	ა) ფონოლოგიური უნარი ბ) ვიზუალურ-სივრცითი აღქმის უნარი
III. მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის ბარათებს, რომლებზეც გამოსახულია ჟღერადობით ერთმანეთის მსგავსი საგნები. იგი ასახელებს სიტყვას, ხოლო მოსწავლე პოულობს შესაბამის გამოსახულებას. 	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

გაითვალისწინეთ: ღია დავალების პასუხში დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენებისათვის დაგაკლდებათ ერთი ქულა!

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 19

მაქსიმალური ქულა - 3

„ - სერ, არ მინდოდა, ხელი შემეშალა. კარგად ვერ ცურავს და, ჩემი აზრით, მისთვის აქ ყოფნა ჯერ ადრეა, ძალიან დიდი კლასი გყავთ და ყურადღებას თუ ვერ მიაქცევთ, იოლად შეიძლება დაგეკარგოთ. ისე, იცოდეთ, ერთი ფარფლი პატარა აქვს და თუ შეამჩნევთ, რომ ცურვის დროს რაიმე პრობლემა შეექმნა, ცოტა ხნით შესვენების უფლება მიეცით.

- არ ინერვიულოთ, ჩვენ გუნდურად ვმეცადინეობთ.“

(დიალოგი ანიმაციური ფილმიდან „ნემოს ძიებაში“)

– იმსჯელეთ, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს მშობლის ჰიპერმზრუნველობამ?

– დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 20

მაქსიმალური ქულა - 3

სსსმ მოსწავლეს აქვს ცერებრული დამბლა. მას შეუძლია დამოუკიდებლად რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ მალე იღლება და სჭირდება საყრდენი. სკოლამ უკვე იზრუნა მისთვის გარემო პირობების აკომოდაციაზე. თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან მას ასევე უჭირს სიტყვების გამართულად გამოთქმა და გრძელი რთული წინადადებებით აზრის ჩამოყალიბება.

- აღწერეთ ადაპტაციის სახე, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული სასწავლო მიზნების მიღწევაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი ადაპტაციის ეფექტიანობა.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 21

მაქსიმალური ქულა - 3

კლასში ემოციურ-ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეა. მასწავლებელმა გადაწყვიტა მისი ქცევის მართვის გეგმის შემუშავება და საწყის ეტაპზე მოსწავლის სამიზნე ქცევა შემდეგნაირად განმარტა: „მოსწავლეს სურს გაკვეთილის ჩაშლა და ამ მიზნით იგი ცდილობს, აიყოლიოს თანაკლასელები . . . “.

- ახსენით, როგორი უნდა იყოს მოსწავლის სამიზნე ქცევის მართებული განმარტება.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 22

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია შეუწყობს ხელს **ყველაზე მეტად** ფონოლოგიური უნარის განვითარებას?

ა) მოსწავლე უნდა შეეცადოს, რომ წარმოიდგინოს დასახელებული სიტყვის ხატი.

ბ) მოსწავლემ გამოძერწილი ასოები თვალდახუჭულმა ხელის შეხებით უნდა ამოიცნოს.

გ) მოსწავლემ ნახატთან უნდა დააკავშიროს სიტყვა და დაასახელოს მისი საწყისი ბგერა.

დ) მოსწავლემ პირველ ეტაპზე უნდა სცადოს დასახელებული სიტყვების ჰაერში მოხაზვა.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 23

მასწავლებელმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის განვითარების ხელშესაწყობად გამოიყენა მაქსიმალურად მრავალფეროვანი მასალა. მან ფოტოების ჩვენებისა და ვერბალური განმარტების გარდა, მოსწავლეს რეალური ობიექტებით მანიპულირების საშუალებაც მისცა.

მასწავლებლის ქმედება მიზნის:

ა) **ადეკვატურია,** რადგან მულტიმოდალური მიდგომის გამოყენებით იზრდება მოსწავლის შესაძლებლობები და მცირდება ინტელექტუალური დარღვევით გამოწვეული სირთულეები.

ბ) **ადეკვატური არ არის,** რადგან ინტელექტუალური დარღვევით გამოწვეული სირთულეების გამო მოსწავლეს გაუჭირდება დავალების შესრულება.

გ) **ადეკვატურია,** რადგან რეალური ობიექტებით მანიპულირება ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლისთვის ერთგვარ თამაშადაც შეიძლება მოიაზრებოდეს.

დ) **ადეკვატური არ არის,** რადგან ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებს უჭირთ შეგრძნების სხვადასხვა არხით ინფორმაციის მიღება.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 24

სპეციალური მასწავლებლის მიერ მოსწავლესთან სამუშაო მიზნების დასახვისა და ინტერვენციის გეგმის შემუშავებისათვის საჭიროა მოსწავლის საგანმანათლებლო პროფილის მომზადება.

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე მეტად** რომელი ქმედება დაეხმარება სპეციალურ მასწავლებელს სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო პროფილის შემუშავებაში?

ა) თავი მოუყაროს ინფორმაციას მოსწავლის უნარების შესახებ სხვადასხვა სფეროში და დაინახოს მათი ურთიერთკავშირი.

ბ) მოიპოვოს ინფორმაცია საგნის მასწავლებლებისგან მოსწავლის აკადემიური უნარების შესახებ და დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები.

გ) შეაფასოს მოსწავლის კოგნიტური შესაძლებლობები, შეადაროს და გააანალიზოს მათი შესაბამისობა ისგ-ის მიზნებთან.

დ) მოამზადოს რეკომენდაციები მოსწავლის სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციური და ადაპტური უნარების შეფასების საფუძველზე.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 25

მიმანიშნებლების ზედმეტი ან არამიზნობრივი გამოყენება ურთულებს მოსწავლეს ცოდნის დამოუკიდებლად დაუფლების პროცესს.

ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში/შემთხვევებში არის გამართლებული მიმანიშნებლების გამოყენება?

I. როდესაც მოსწავლე დიდ დროს ანდომებს დავალებას.
II. როდესაც მოსწავლე მიდის არასწორი პასუხისკენ.
III. როდესაც მოსწავლე საერთოდ არ პასუხობს შეკითხვებს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 26

მასწავლებელმა მოსწავლის აღქმის უნარის შესაფასებლად გამოიყენა ბარათები:



რომელი უნარის/უნარების შესაფასებლად გამოიყენება სურათზე მოცემული ბარათები?

I. სივრცის აღქმის

II. ვიზუალური აღქმის

III. დროის აღქმის

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 27

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის დაგეგმვამდე მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს სსსმ მოსწავლეს.

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის შეფასების მიზანი **არ არის:**

ა) სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

ბ) სსსმ მოსწავლისთვის შეფასების დროს გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე სხვადასხვა შესაბამისი სერვისის განსაზღვრა.

გ) სსსმ მოსწავლის სხვადასხვა უნარის განვითარების დონის ცვლილების მიხედვით მისი ყოველწლიური პროგრესის განსაზღვრა.

დ) სსსმ მოსწავლისთვის სასწავლო პროცესის ცალკეული კომპონენტების აკომოდაციასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 28

სსსმ მოსწავლეს ზოგჯერ არ შეუძლია საკუთარი აზრების, სურვილებისა და საჭიროებების ვერბალურად გამოხატვა. სპეციალურმა მასწავლებელმა მისი სწავლების პროცესში საჭიროა, გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის მიერ გამოყენებული რომელი სტრატეგია დაეხმარება მოსწავლეს **ყველაზე მეტად** მოცემულ სიტუაციაში?

ა) მასწავლებელმა სსსმ მოსწავლეს შესთავაზოს საკუთარი აზრის გამოხატვა წერილობით, ბარათებით ან სხვა ალტერნატიული საშუალებებით.

ბ) მასწავლებელი დააკვირდეს სსსმ მოსწავლეს და სწავლის პროცესში თვითონ ამოიცნოს და გაახმოვანოს მისი ყველა სურვილი თუ სათქმელი.

გ) მასწავლებელმა სსსმ მოსწავლეს შესთავაზოს ისეთი აქტივობები, რომლებიც მისი განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებშია და სთხოვოს, სცადოს მათი აღწერა.

დ) მასწავლებელმა სსსმ მოსწავლეს შესთავაზოს ისეთი დავალებები, რომელთა შესრულებისას მოსწავლეს აღარ დასჭირდება ვერბალური კომუნიკაციის გამოყენება.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 29

მასწავლებლის მიერ დასახული მიზნები უნდა აკმაყოფილებდეს SMART კრიტერიუმებს.

ჩამოთვლილთაგან რომელ დებულებაში ჩანს **ყველაზე უკეთ** SMART კრიტერიუმების მთავარი დანიშნულება?

ა) მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესი გახდეს შედეგზე უფრო მეტად ორიენტირებული.

ბ) სწავლა-სწავლების პროცესი გახდეს მეტად დაკვირვებადი, თვალსაჩინო და გაზომვადი.

გ) გაადვილდეს დასახული მიზნის მისაღწევად ადეკვატური სტრატეგიების შემუშავება.

დ) შესაძლებელი გახდეს მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესის უკეთ გააზრება.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 30

სსსმ მოსწავლე თხრობისას იყენებს მწირ ლექსიკას, უჭირს სიტყვების შერჩევა და ლაპარაკობს შემოკლებული წინადადებებით, უშვებს სინტაქსურ შეცდომებს, იყენებს სტერეოტიპულ ფრაზებს.

ჩამოთვლილთაგან მეტყველების დარღვევის რომელი ფორმა/ფორმები აქვს მოსწავლეს?

I. ექსპრესიული მეტყველების დარღვევა
II. იმპრესიული მეტყველების დარღვევა
III. შინაგანი მეტყველების დარღვევა

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 31

სსსმ მოსწავლე გაკვეთილზე მასწავლებლის ყურადღების მიქცევის მიზნით იწყებს ფეხების ბაკუნს. მასწავლებელმა გადაწყვიტა, მოსწავლის პრობლემური ქცევის მართვის მიზნით გამოიყენოს დაგეგმილი იგნორირება.

ჩამოთვლილთაგან რომელი მაგალითი/მაგალითები შეესაბამება დაგეგმილი იგნორირების პრინციპებს?

I. მასწავლებელი არ აკეთებს კომენტარს მოსწავლის პრობლემური ქცევის საპასუხოდ, მხოლოდ შეხედავს მას სახეში და აგრძელებს გაკვეთილის ახსნას.

II. მასწავლებელი არ აკეთებს კომენტარს მოსწავლის პრობლემური ქცევის საპასუხოდ, მის ქცევას ყურადღებას არ აქცევს და სთავაზობს სხვა დავალებას.

III. მასწავლებელი არ აკეთებს კომენტარს მოსწავლის პრობლემური ქცევის საპასუხოდ, არ ამყარებს მასთან თვალით კონტაქტს და აგრძელებს მუშაობას.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 32

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის მიღწევების შესაფასებლად გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.

ყველაზე მეტად რა თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის განმავითარებელი შეფასება?

ა) განმავითარებელი შეფასებით მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს ძლიერი მხარეების წარმოჩენაში, ასაბუთებს, რის გაგება გაუჭირდა მას და რატომ, შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ბ) განმავითარებელი შეფასებით მასწავლებელი ადგენს თითოეული მოსწავლის მიღწევის დონეს ესგ-ის ზოგად მოთხოვნებთან მიმართებით, გააცნობს და აძლევს მათ მითითებებს გამოვლენილი სირთულეების დასაძლევად.

გ) განმავითარებელი შეფასებით მასწავლებელი აღწერს მოსწავლის სირთულეებს, აწვდის მშობელს ინფორმაციას ამ სირთულეების შესახებ და გეგმავს მათი დაძლევისთვის საჭირო აქტივობებს.

დ) განმავითარებელი შეფასებით მასწავლებელი განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს საგნობრივი პროგრამის დასრულების შემდგომ და აძლევს მათ შესაბამის რეკომენდაციებს.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 33

სსსმ მოსწავლეს უჭირს საკუთარი თავის შესახებ სხვებისთვის ინფორმაციის გაზიარება.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა იქნება **ყველაზე** რელევანტური ამგვარი პრობლემის მქონე ბავშვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესში?

ა) დამრიგებლის მიერ სწავლის დაწყებამდე მომავალ თანაკლასელებთან ერთად სასკოლო სივრცეში ჯგუფური აქტივობების დაგეგმვა.

ბ) მოსწავლისთვის საკომუნიკაციო პასპორტის მომზადება, რომელშიც აისახება ბავშვის შესაძლებლობები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

გ) რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებლის ინდივიდუალური მუშაობა სსსმ მოსწავლესთან და ამის შემდეგ მისი კლასში შეყვანა.

დ) სპეციალური მასწავლებლის მიერ მოსწავლის ასისტირება, შუალედური რგოლის ფუნქციის შეთავსება საგნის მასწავლებლებს, თანატოლებსა და სსსმ მოსწავლეს შორის.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 34

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა შეესაბამება მულტისენსორული სწავლების მეთოდს?

ა) მოსწავლე მასწავლებლის მიერ დასახელებულ ასოებს სვამს ხის დაფაზე შესაბამის ჭრილში.

ბ) მოსწავლე ბარათებზე ამოიცნობს ერთმარცვლიან და ორმარცვლიან სიტყვებს.

გ) მოსწავლე სხვადასხვა წარწერაში პოულობს ბარათზე გამოსახული საგნის შესაბამის სიტყვას.

დ) მოსწავლე სიტყვებს მარცვლებად შლის და მარცვლებისგან სიტყვებს ადგენს.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 35

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა აფასებს ჟღერადობით მსგავსი ბგერების აღქმის უნარს?

ა) სპეციალური მასწავლებელი მოსწავლეს ასმენინებს სხვადასხვა ხმას და სთხოვს გამოიცნოს, რისი ან ვისი ხმა ისმის.

ბ) სპეციალური მასწავლებელი მოსწავლეს ასმენინებს სხვადასხვა ადამიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს და სთხოვს, ამოიცნოს, ვინ რომელი სიტყვა თქვა.

გ) სპეციალური მასწავლებელი წარმოთქვამს ბგერებს და ავალებს მოსწავლეს, გაამთლიანოს მოსმენილი ბგერები სიტყვაში.

დ) სპეციალური მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება სიტყვათა წყვილებს. მოსწავლემ უნდა მიუთითოს, მათგან რომელი სიტყვები ისმის ერთნაირად და რომელი - განსხვავებულად.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 36

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის დადგენისას მშობლები და ოჯახის წევრები ითხოვენ ინფორმაციას ბავშვის სირთულეებისა და განვითარების პოტენციალის შესახებ.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია/რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციისას?

I. სირთულეებისა და საჭიროებების აღნიშვნამდე ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რა შეუძლია ბავშვს და რა გამოსდის კარგად, რათა მოიპოვოთ მშობლის ნდობა და პატივისცემა.

II. დასვით რეფლექსიური შეკითხვები და დაელოდეთ მშობლის პასუხს. დარწმუნდით, რომ ერთნაირად გესმით ის, რაზეც საუბრობთ, რათა მშობელი მიხვდეს, რომ თქვენ მისი თანამოაზრე ხართ.

III. მიეცით მშობელს დრო, ისაუბროს თავის გამოცდილებაზე, მაგრამ არა საკუთარ გრძნობებზე, წუხილებსა თუ სიხარულზე, რათა საუბარმა ფოკუსი არ დაკარგოს.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

გაითვალისწინეთ: ღია დავალების პასუხში დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენებისათვის დაგაკლდებათ ერთი ქულა!

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 37

მაქსიმალური ქულა - 3

სსსმ მოსწავლე ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონეა. მას უჭირს ერთ ადგილზე დიდხანს ჯდომა, მშვიდ აქტივობებში ჩართვა, ხშირად ნებართვის გარეშე დადის კლასში. მასწავლებელი ყოველთვის შენიშვნას აძლევს მას, ჰკიდებს ხელს, მიჰყავს მერხთან და შეახსენებს, რომ გაკვეთილზე უნებართვოდ სიარული არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, მოსწავლის ქცევა არ იცვლება.

- მიეცით მასწავლებელს რეკომენდაცია, რომელიც დაეხმარება მას ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლის ქცევის მართვაში.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 38

მაქსიმალური ქულა - 3

სპეციალური მასწავლებელი რამდენჯერმე დაესწრო ერთ-ერთი მასწავლებლის გაკვეთილს და შეამჩნია, რომ სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდა მასზე მორგებული დავალებები, ის ძირითადად ჩუმად იჯდა და არ ერთვებოდა საგაკვეთილო პროცესში. სსსმ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში უკეთ ჩართვის მიზნით სპეციალურმა მასწავლებელმა საგნის მასწავლებელს რეკომენდაციები მისცა. კოლეგამ ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატა, რის გამოც სპეციალურმა მასწავლებელმა შეწყვიტა მის გაკვეთილებზე დასწრება.

- ჩამოაყალიბეთ ეთიკის პრინციპი, რომლის დაცვითაც უნდა ემოქმედა სპეციალურ მასწავლებელს მოცემულ სიტუაციაში.
- დაასაბუთეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენ მიერ აღნიშნული პრინციპის დაცვა სსსმ მოსწავლის სწავლის ეფექტიანობისათვის.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

დავალება N 39

მაქსიმალური ქულა - 3

მოსწავლეს აქვს კითხვის სირთულე, თუმცა მას არ აღენიშნება ინტელექტუალური განვითარების დარღვევა. ის კითხულობს ანბანის ყველა ასოს, შეუძლია სამ და ოთხასოიანი სიტყვების ამოკითხვაც, მაგრამ უფრო გრძელ სიტყვას ვერ კითხულობს.

- აღწერეთ აქტივობა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს კითხვასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის დაძლევაში.
- პასუხი დაასაბუთეთ.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

დავალება N 40

მაქსიმალური ქულა - 3

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საგნის მასწავლებელთა უმრავლესობას არასწორი შეხედულება აქვს რესურს ოთახის გამოყენებასთან დაკავშირებით. ხშირად, როდესაც სსსმ მოსწავლე არასასურველ ქცევას ავლენს, ისინი, სირთულეების თავიდან არიდების მიზნით, სპეციალურ მასწავლებელს სთხოვენ მოსწავლის რესურს ოთახში გაყვანას. ზოგჯერ სპეციალური მასწავლებელი ცდილობს, საგნის მასწავლებელს პრობლემის მოგვარებაში საკლასო ოთახშივე დაეხმაროს და უარს ამბობს რესურს ოთახში მოსწავლის გაყვანაზე.

- განმარტეთ, რა უდევს საფუძვლად სპეციალური მასწავლებლის ქცევას.
- დაასაბუთეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი სპეციალური მასწავლებლის ამგვარი ქცევა სსსმ მოსწავლის ეფექტიანი სწავლების თვალსაზრისით.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 2a 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20
21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40